განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების საქართველოს მთავრობის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება, რომლებიც ითვალისწინებენ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატების შეტანას. იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხულია მსმენელთა ორი ნაკადი, ხოლო აქედან, მსმენელთა პირველი ნაკადი სრულ სასწავლო კურსს დასრულებს უახლოეს პერიოდში, აუცილებელია მოქმედ კანონმდებლობაში აისახოს მოსამართლეთა დანიშვნის განსხვავებული სამართლებრივი რეგულაცია. კანონპროექტის მიღება განპირობებულია ასევე „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონებში განსახორციელებლი ცვლილებების პროექტიდან.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია სასამართლო სისტემის დაკომპლექტება მარალკვალიფიციური კადრებით და საქართველოს სასამართლო სისტემის დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებების და დამატების განხორციელებას იმ მუხლებში, რომლებიც არეგულირებენ მოსამართლეთა დანიშვნის წესს იუსტიციის მსმენელთა პირველი საკვალიფიკაციო სიის დამტკიცების შემდეგ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება შეამცირებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: მურთაზ ზოდელავა, აკაკი მინაშვილი და ჩიორა თაქთაქიშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: მურთაზ ზოდელავა, აკაკი მინაშვილი და ჩიორა თაქთაქიშვილი